PepsiCo, Inc.-ის მომწოდებლის ქცევის გლობალური კოდექსი

ძალაშია 2018 წლის ივნისიდან
განახლების თარიღი 2025 წლის აგვისტო

მიზანი და მასშტაბი

PepsiCo-ში ჩვენ გვჯერა, რომ ეთიკური და პასუხისმგებლიანი მოქმედება არა მხოლოდ სწორია, არამედ ჩვენი ბიზნესისთვისაც კარგია. ეს რწმენა ჩაქსოვილია ყველაფერში, რასაც ჩვენ ვაკეთებთ და ეს არის ჩვენი ხედვის საფუძველი, რომ Pep+ გამარჯვებულები (PepsiCo პოზიტივი) ვიყოთ მსოფლიო ლიდერები სასურველი ხარისხის საკვებისა და სასმელის მიწოდებაში. ჩვენი მომწოდებლის ქცევის გლობალური კოდექსი („**მომწოდებლის კოდექსი**“) ასახავს საერთაშორისო სტანდარტებს და მოლოდინებს, რომლებიც ჩვენ გვაქვს ჩვენი მომწოდებლების მიმართ ბიზნესის პატიოსნების, ეთიკისა და ანტიკორუფციულ, ადამიანის უფლებებისა და შრომითი პრაქტიკის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოებისა და გარემოს მენეჯმენტის სფეროებში.

ყველა პირდაპირი მომწოდებელი, გამყიდველი, კონტრაქტორი, კონსულტანტი, აგენტი და საქონლისა და მომსახურების სხვა მესამე მხარე პროვაიდერი, რომლებიც მუშაობენ PepsiCo-სთან ან ეწევიან ბიზნესს მისი სახელით („მომწოდებლები“), ვალდებულია დაიცვას მომწოდებლის კოდექსი და ყველა სხვა შესაბამისი პოლიტიკა და სტანდარტი[1], როგორც PepsiCo-სთან და მის აფილირებულ კომპანიებთან ბიზნესის წარმოების პირობა. მომწოდებლებმა ასევე უნდა გამოიყენონ მომწოდებლის კოდექსის და შესაბამისი პოლიტიკის პრინციპები მათი მიწოდების ჯაჭვის ფარგლებში. გარდა ამისა, მომწოდებლები, რომლებიც უწევენ ადგილზე მომსახურებებს PepsiCo-ს ლოკაციებზე ან PepsiCo-ს აღჭურვილობის ან ქონების გამოყენებით, უნდა შეესაბამებოდნენ PepsiCo-ს ყველა მოთხოვნას სამუშაო ადგილზე ქცევასთან და აღჭურვილობისა და ქონების სათანადოდ გამოყენებასთან დაკავშირებით.

ბიზნეს ქცევის პრინციპები

PepsiCo მოელის, რომ მისი მომწოდებლები აწარმოებენ ბიზნესს პასუხისმგებლობით, პატიოსნად და გამჭვირვალობით და დაიცავენ შემდეგ პრინციპებს:

1. **შეინარჩუნონ ცნობიერება და დაიცვან იმ ქვეყნების კანომდებლობა და რეგულაციები, რომლებშიც ოპერირებენ.**

2. **დაიცვან PepsiCo-ს და მისი პარტნიორების ყველა ინფორმაციის კონფიდენციალურობა.**

   PepsiCo-ს მომწოდებლებმა უნდა მიიღონ ყველა გონივრული და აუცილებელი ზომა, რომ დაიცვან PepsiCo-ს და მისი პარტნიორების ინფორმაცია, რომლებზეც მათ აქვთ წვდომა, მათ შორის, არ გაამჟღავნონ ეს ინფორმაცია ვინმესთან, PepsiCo-ს შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამჟღავნება სათანადოდ ნებადართულია, მკაფიოდ განსაზღვრულ ლეგიტიმურ ბიზნეს საჭიროებებიდან გამომდიანრე (ანუ გაზიარება ხდება მხოლოდ „სჭირდება, რომ იცოდეს” პრინციპის საფუძველზე) და ექვემდებარება კონფიდენციალურობის დაცვის წერილობით შეთანხმებას.

[1] მოქმედი სტანდარტები და პოლიტიკა მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონპროექტს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაციას შრომის სფეროში ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ, PepsiCo-ს მექრთამეობასთან ბრძოლის გლობალურ პოლიტიკას და PepsiCo-ს გლობალურ პოლიტიკას ეკოლოგიურად მდგრადი პალმის ზეთის შესახებ. ამ დოკუმენტების და PepsiCo-ს სხვა შესაბამისი პოლიტიკების ასლები შეგიძლიათ ნახოთ www.pepsico.com-ზე.

3. სამართლიან კონკურენციაში იყვნენ PepsiCo-ს ბიზნესისთვის და PepsiCo-ს სახელით ყველა ასეთი ბიზნესი განახორციელონ კანონიერი გზით.

PepsiCo მოწოდებულია, აწარმოოს ბიზნესი კანონიერად და ეთიკურად და მკაცრად კრძალავს კორუფციულ შეთანხმებებს მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან, სახელმწიფო მოხელეებთან ან სხვა მესამე მხარეებთან. ამგვარად, PepsiCo უკრძალავს თავის მომწოდებლებს რაიმე სახით ჩაერთონ საჯარო სექტორის ან კომერციულ მოსყიდვაში. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, PepsiCo-ს სახელით მოქმედი მომწოდებელი დაჰპირდეს ან მიაწოდოს რაიმე ღირებული პირდაპირ ან ირიბად სახელმწიფო მოხელეს, ან კერძო ან კომერციული სექტორის რომელიმე პირს ან ორგანიზაციას, თუ გადახდა გამიზნულია მიმღების წახალისებისკენ ბოროტად გამოიყენოს მისი პოზიცია, რათა მომწოდებელმა მოიპოვოს ან შეინარჩუნოს უსამართლო ბიზნეს უპირატესობა ან მიიღოს პირადი სარგებელი. ამ პრინციპების შესაბამისად, მომწოდებლებმა, რომლებიც მოქმედებენ PepsiCo-ს სახელით, უნდა დაიცვან აშშ-ს საგარეო კორუფციული პრაქტიკის აქტი, ნებისმიერი მოქმედი ადგილობრივი ანტიკორუფციული და ანტიმონოპოლიური კანონები და უნდა დაიცვან PepsiCo-ს მექრთამეობასთან ბრძოლის გლობალური პოლიტიკა („ABAC პოლიტიკა").

4. უზრუნველყონ დისკრიმინაციისგან, შევიწროებისგან ან რაიმე ფორმის ზეწოლისგან თავისუფალი სამუშაო გარემო.

PepsiCo-ს მომწოდებლებმა უნდა შექმნან სამუშაო გარემო, რომელშიც თანამშრომლები და ბიზნეს პარტნიორები გრძნობენ თავს დაფასებულად და გრძნობენ პატივისცემას მათი წვლილისთვის. შევიწროება, მათ შორის არასასურველი სიტყვიერი, ვიზუალური, ფიზიკური ან სხვა ნებისმიერი სახის ქცევა, რომელიც ქმნის დაშინებას, შეურაცხყოფას ან მტრულ სამუშაო გარემოს, არ უნდა იყოს მოთმენილი. დასაქმების შესახებ გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს კვალიფიკაციას, უნარებს, ეფექტურობას და გამოცდილებას.

5. მოეპყრან თანამშრომლებს სამართლიანად, მათ შორის ხელფასებთან, სამუშაო საათებთან და ბენეფიტებთან დაკავშირებით.

PepsiCo-ს მომწოდებლებმა უნდა შეასრულონ ყველა მოქმედი სახელფასო, სამუშაო საათების და ბენეფიტების მარეგულირებელი კანონმდებლობა და მოთხოვნები. მომწოდებლებმა უნდა უზრუნველყონ ხელფასი, რომელიც აკმაყოფილებს ან აღემატება კანონით განსაზღვრულ სახელფასო მინიმუმს და უნდა ცდილობდნენ, გასცენ ისეთი ხელფასები, რომ უზრუნველყონ ღირსეული ცხოვრების დონე. ყველა ხელფასი დროულად და სრულად უნდა იყოს გადახდილი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის სახით ხელფასის დაქვითვა აკრძალულია. მომწოდებლები ასევე უნდა ცდილობდნენ, დააკმაყოფილონ სამუშაო საათებისა და შესვენების პერიოდების მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის: (i) სამუშაო კვირა არაუმეტეს 48 რეგულარულად დაგეგმილი სამუშაო საათისა და 12 ნებაყოფლობითი ზეგანაკვეთური საათისა, (ii) ზეგანაკვეთური საათების კომპენსაცია პრემიალური განაკვეთით, და (iii) თანამშრომლებს უნდა მიეცეთ დასვენების ერთი დღე ყოველ 7 დღეში, გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა და უჩვეულო სიტუაციებისა. როდესაც მომწოდებლის პრაქტიკა არ შეესაბამება ასეთ საერთაშორისო სტანდარტებს, მომწოდებელმა უნდა დაადგინოს ძირითადი მიზეზები და იმუშაოს მისი პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.

6. აკრძალონ იძულებითი ან სავალდებულო შრომის ნებისმიერი ფორმა.

PepsiCo კრძალავს იძულებითი შრომის ყველა ფორმის გამოყენებას, მათ შორის პატიმრობის დაწესებულებაში იძულებით შრომას, შეთანხმების გარეშე შრომაში ჩართვას, იძულებით შრომას, სამხედრო ხასიათის შრომას, მონურ შრომას და ადამიანებით ვაჭრობის ნებისმიერ ფორმას. PepsiCo-ს მომწოდებლებმა უნდა დაიცვან ეს სტანდარტები და პატივი სცენ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, მათ შორის თანამშრომლების გადაადგილების თავისუფლებას. დასაქმების შესახებ გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს თავისუფალ არჩევანს და არ შეიძლება, იყოს იძულებითი ან პატიმრობის დაწესებულებაში შრომა, და არ შეიძლება, იყოს ფიზიკური დასჯის ან ძალადობის მუქარის გამოყენება ან ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან სიტყვიერი შეურაცხყოფის სხვა ფორმები, როგორც დისციპლინის ან კონტროლის მეთოდი. შრომით ხელშეკრულებებში (მაგ. შეთავაზების წერილი და სხვა) მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული დასაქმების პირობები და იყოს თანამშრომლისთვის გასაგებ ენაზე, საჭიროების შემთხვევაში ზეპირი ახსნა-განმარტებით. მომწოდებლებმა არ უნდა შეზღუდონ თანამშრომელთა გადაადგილება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების დაკავებით, დეპოზიტების დაკავებით ან სხვა ქმედებებით, რომლებიც მიზნად ისახავს თანამშრომლის მიერ დასაქმების შეწყვეტის თავიდან აცილებას. „დამსაქმებელი იხდის პრინციპის" საფუძველზე, არცერთ თანამშრომელს არ უნდა მოეთხოვოს სამსახურში აყვანის ან სხვა მსგავსი საფასურის გადახდა მისი დასაქმების უზრუნველსაყოფად ან შესანარჩუნებლად. დასაქმების საფასური დამსაქმებელმა უნდა გადაიხადოს. მომწოდებლებმა და ნებისმიერი მესამე მხარის დასაქმების სააგენტოებმა უნდა დაიცვან ეს პრინციპები და შეიმუშავეთ გონივრული გეგმა პრობლემების გამოსასწორებლად და მათი აღმოჩენის შემთხვევაში ხარჯების ანაზღაურებისთვის.

7. ბავშვთა შრომის აკრძალვა.

PepsiCo კრძალავს იმ პირების სამსახურში აყვანას, რომლებიც არიან თხუთმეტ (15) წლამდე ასაკის, ადგილობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მინიმალურ სამუშაო ასაკამდე ან სკოლაში სწავლის სავალდებულო ასაკამდე, იმის მიხედვით, რომელიც უფრო მაღალია. PepsiCo-ს მომწოდებლებმა უნდა დაიცვან ეს სტანდარტები, ყველა მოქმედი კანონი და რეგულაცია და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) ყველა შესაბამისი სტანდარტი. შსო-ს მითითებების შესაბამისად, მომწოდებელმა არცერთ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას ახალგაზრდა თანამშრომლების მიერ ისეთი სამუშაოს შესრულება, რომელიც პოტენციურად სახიფათოა მათი ჯანმრთელობისთვის ან უსაფრთხოებისთვის. მომწოდებლებმა უნდა გადაამოწმონ ყველა დასაქმებულის ასაკი და დასაქმების უფლება აყვანის დროს და ჩამოაყალიბონ შესაბამისი სისტემები პოლიტიკის პოტენციური დარღვევების პასუხისმგებლიანად გამოსასწორებლად. PepsiCo-ს მომწოდებლებმა, რომლებიც მდებარეობენ შეერთებულ შტატებში, უნდა გამოიყენონ შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტის E-Verify პროგრამა, რათა გადაამოწმონ პირის დასაქმების უფლება და დაავალონ E-Verify-ის გამოყენება შეერთებულ შტატებში მდებარე ყველა მათ დასაქმების სააგენტოს, ქვე-კონტრაქტორებს და მიმწოდებლებს.

8. პატივი სცენ თანამშრომლების უფლებას გაერთიანების და კოლექტიური მოლაპარაკების თავისუფლების შესახებ.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, PepsiCo-ს მომწოდებლებმა პატივი უნდა სცენ თანამშრომლების უფლებას, შეუერთდნენ ასოციაციებსა და დასაქმებულთა ორგანიზაციებს. დაშინება, შევიწროება, შურისძიება ან ძალადობა პროფკავშირის წევრების, პროფკავშირის წარმომადგენლებისა და ნებისმიერი თანამშრომლის მიმართ, რომლებიც ცდილობენ გამოიყენონ თავიანთი უფლებები, რომ შეუერთდნენ ამგვარ ორგანიზაციებს ან თავი შეიკავონ გაწევრიანებისგან, აკრძალულია. იქ, სადაც გაერთიანების თავისუფლების უფლება შეზღუდულია კანონით, მომწოდებლებმა მხარი უნდა დაუჭირონ ჩართულობის ალტერნატიული მექანიზმების შემუშავებას ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნათა ფარგლებში.

9. უზრუნველყონ შრომის უსაფრთხო და ჯანმრთელი პირობები.

PepsiCo-ს მომწოდებლებმა პროაქტიულად უნდა მართონ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები, რათა უზრუნველყონ ინციდენტებისგან თავისუფალი გარემო, სადაც თავიდან აცილებული იქნება პროფესიული დაზიანებები და დაავადებები. მომწოდებლებმა უნდა დანერგონ მართვის და კონტროლის სისტემები, რომლებიც აიდენტიფიცირებენ საფრთხეებს, აფასებენ და აკონტროლებენ რისკებს, რაც დაკავშირებულია მათ კონკრეტულ სფეროსთან, და უზრუნველყოფენ ტრენინგს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების პროაქტიულად გადასაჭრელად და ფოკუსირებული არიან თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხო მუშაობის უწყვეტ გაუმჯობესებაზე. ამასთანავე, მომწოდებლებმა უნდა უზრუნველყონ წვდომა უსაფრთხო სასმელ წყალზე, სანიტარულ პირობებზე და ჰიგიენაზე, მათ შორის ადეკვატური საპირფარეშოები და ხელის დასაბანი საშუალებები; სახანძრო გასასვლელები და სახანძრო უსაფრთხოების ძირითადი აღჭურვილობა; პირადი დამცავი აღჭურვილობა (PPE) და გადაუდებელი დახმარების ნაკრები; და ხელმისაწვდომობა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სერვისებზე, მათ შორის გარემოსდაცვით, სახანძრო და სამედიცინო სერვისებზე.

10. დაემორჩილონ ყველა მოქმედ გარემოსდაცვის კანონს და რეგულაციას და აწარმოონ ბიზნეს საქმიანობა ისე, რომ გარემოზე ზემოქმედება მინიმალური იყოს.

PepsiCo-ს მომწოდებლები უნდა აკმაყოფილებდნენ ყველა მოქმედ კანონებს და ცდილობდნენ, შეამცირონ მათი ბიზნეს ოპერაციების გარემოზე ზემოქმედება თანმიმდევრულად დროთა განმავლობაში. ბუნებრივი რესურსების კონსერვაციის შესაძლებლობები წყლისა და ენერგიის მოხმარების ეფექტურობის გაუმჯობესების, ნარჩენების შემცირების, მასალების გადამუშავებისა და დაბინძურების კონტროლის გაუმჯობესების გზით უნდა იყოს გათვალისწინებული, სადაც შესაძლებელია. PepsiCo მოუწოდებს თავის მომწოდებლებს განახორციელონ სამოქმედო გეგმები წყლის გამოყენების ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, ნარჩენების შესამცირებლად და ნაგავსაყრელზე გაგზავნილი ნარჩენების აღმოსაფხვრელად და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ინტეგრირებისთვის მასალების მოპოვებასა და ოპერაციებში.

11. აწარმოონ ზუსტი ფინანსური აღრიცხვა და ბიზნეს ჩანაწერები ყველა მოქმედი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნისა და მიღებული ბუღალტრული პრაქტიკის შესაბამისად, მათ შორის PepsiCo-სთვის გადახდის ან ანაზღაურებისთვის წარდგენილ ყველა ინვოისთან მიმართებაში.

12. მიაწოდონ პროდუქტები და სერვისები, რომლებიც აკმაყოფილებენ ხარისხისა და სურსათის უვნებლობის მოქმედ სტანდარტებს.

PepsiCo მოწოდებულია, აწარმოოს მაღალი ხარისხის და უსაფრთხო პროდუქტები ჩვენს ყველა ბრენდში. ჩვენი პროდუქციის შემუშავების, დამუშავების, წარმოების, შეფუთვის, ტრანსპორტირების ან შენახვის ნებისმიერ ასპექტში ჩართული მომწოდებლებისგან ჩვენ ველით:

- იცოდნენ და დაიცვან სურსათის უვნებლობისა და პროდუქციის ხარისხის სტანდარტები, წესები, სპეციფიკაციები და პროცედურები, რომლებიც მოქმედებს თქვენს ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქტების მიმართ;
- დაიცვან წარმოების კარგი პრაქტიკა და ტესტირების პროტოკოლები;
- დაიცვან სურსათის უვნებლობის სფეროში მოქმედი ყველა ფედერალური, შტატის და ადგილობრივი კანონმდებლობა და რეგულაცია; და
- დაუყოვნებლივ მოახსენონ PepsiCo-ს იმ პრობლემების შესახებ, რომლებმაც შეიძლება, უარყოფითად იმოქმედოს PepsiCo-ს პროდუქტის ხარისხზე ან პროდუქტის ხარისხის საზოგადოების მხრიდან აღქმაზე.

13. დაიცვან მიმწოდებლის კოდექსთან შესაბამისობა მართვის შესაბამისი პროცესების დაწესებით და PepsiCo-ს მიერ მოთხოვნილ გონივრულ შეფასების პროცესებთან თანამშრომლობით.

PepsiCo-სთან ბიზნესის განსახორციელებლად, მომწოდებლებმა უნდა გააფორმონ კონტრაქტები და შეასრულონ შესყიდვის შეკვეთები, რომლებიც ავალდებულებენ მომწოდებლის კოდექსთან შესაბამისობას. ჩვენ ველით, რომ მომწოდებლები დანერგავენ შესაბამის პოლიტიკას, პროცედურებს და მართვის სისტემებს, რათა მხარი დაუჭირონ მომწოდებლის კოდექსში ასახულ სტანდარტებთან და მოლოდინებთან მუდმივ შესაბამისობას. წინასწარი შეტყობინებით, PepsiCo-ს შეუძლია მოითხოვოს დასაბუთებული აუდიტის ჩატარება, მათ შორის ადამიანის უფლებათა აუდიტები და სხვა მიზნობრივი შეფასებები, რათა შეამოწმოს მომწოდებლის შესაბამისობა მომწოდებლის კოდექსთან. PepsiCo-მ ასევე შეიძლება, მოითხოვოს მომწოდებლებისგან ტრენინგების გავლა მომწოდებლის კოდექსთან შესაბამისობის დემონსტრირებისთვის. მიმწოდებლებისგან მოელიან, რომ ჩაატარონ ადამიანის უფლებების სათანადო გამოკვლევა, როგორც ეს განსაზღვრულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპებით ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ.. გარდა ამისა, როგორც ასახულია ABAC პოლიტიკაში, ზოგიერთ მომწოდებელს პერიოდულად მოეთხოვება ჩვენი მესამე მხარის აუდიტის განხორციელება.

14. თავი აარიდონ ინტერესთა შესაძლო კონფლიქტებს PepsiCo-ს თანამშრომლებთან ურთიერთობისას.

PepsiCo-ს მომწოდებლებს ეკრძალებათ, მიაწოდონ ან შესთავაზონ საჩუქრები PepsiCo-ს თანამშრომლებს, რამაც შეიძლება, შეუსაბამო გავლენა მოახდინოს PepsiCo-ს ბიზნეს გადაწყვეტილებებზე ან მოიპოვოს უსამართლო უპირატესობა. მომწოდებლებმა უნდა დაიცვან PepsiCo-ს ბიზნეს საჩუქრების შეზღუდვები, რომლებიც ნებას რთავს მხოლოდ იშვიათად დაბალი ღირებულების მქონე საჩუქრების (100 აშშ დოლარამდე ღირებულების) გადაცემას და კრძალავს ნებისმიერ საჩუქარს (1) სახელშეკრულებო მოლაპარაკების ან სატენდერო წინადადების წარდგენის პროცესში და (2) შესყიდვის ფუნქციის მქონე თანამშრომლებისთვის. PepsiCo-ს თანამშრომლებთან ურთიერთობისას მომწოდებელმა თავი უნდა აარიდოს ნებისმიერ სხვა საქმიანობას, რომელსაც შეუძლია, გამოიწვიოს ინტერესთა კონფლიქტი ან შეიძლება გამოიყურებოდეს, როგორც ინტერესთა კონფლიქტის გამომწვევი.

15. დარწმუნდნენ, რომ მიწის ყველა შესყიდვა (იჯარის და სარგებლობის ჩათვლით) აკმაყოფილებს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) შესრულების სტანდარტებს, მათ შორის უფასო, წინასწარ და ინფორმირებულ თანხმობას.

16. ჩამოაყალიბონ საჩივრების მართვის პროცესები და განაცხადონ მომწოდებლის კოდექსის სავარაუდო დარღვევების შესახებ.

მომწოდებლებმა უნდა შექმნან საჩივრების მართვის მექანიზმი, რათა გადასცენ, მართონ და განიხილონ საჩივრები, რომლებიც წამოჭრილია დასაქმებულების მიერ მათი საქმიანობის ფარგლებში და ასევე მესამე მხარის მიერ. მექანიზმის სტრუქტურა და ფუნქციები უნდა შეესაბამებოდეს ეფექტიანობის კრიტერიუმებს, რომლებიც ასახულია გაერთიანებული ერების სახელმძღვანელო პრინციპებში ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ. მომწოდებლებმა ცალსახად უნდა აკრძალონ შურისძიება იმ პირების ან ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც კეთილსინდისიერად გამოთქვამენ შეშფოთებას. შურისძიება შეზღუდვის გარეშე მოიცავს, ნებისმიერ სამართლებრივ ქმედებას, ეკონომიკურ შურისძიებას, რეპუტაციის განზრახ დაზიანებას, მუქარას, დაშინებას და ძალადობას ნებისმიერი პიროვნების ან ორგანიზაციის წინააღმდეგ, რომელმაც გამოთქვა კეთილსინდისიერი შეშფოთება.

მომწოდებლებს და მათ თანამშრომლებს შეუძლიათ, ასევე შეატყობინონ ამ კოდექსის სავარაუდო დარღვევის შესახებ PepsiCo-ს "Speak Up" ცხელ ხაზზე ნომერზე 1-866-729-4888 შეერთებულ შტატებში ან გამოყოფილი სატელეფონო ხაზების საშუალებით მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. საერთაშორისო ცხელი ხაზის სატელეფონო ნომრების სია ხელმისაწვდომია აქ. “Speak Up” ცხელი ხაზი

ხელმისაწვდომია 24/7 საფუძველზე მსოფლიოს მასშტაბით. კომუნიკაცია ასევე შეიძლება, განხორციელდეს ელექტრონულად "Speak Up" ვებ-ხაზის მისამართზე (იხილეთ აქ). ყველა ასეთი მოხსენება განიხილება, როგორც კონფიდენციალური, იქნება ის მოწოდებული ჩვენი Speak Up ტელეფონის ან ვებ-ხაზის მეშვეობით, და თქვენ შეგიძლიათ დარჩეთ ანონიმური, სადაც ეს კანონით ნებადართულია.